# ლელო

№ 18
(11 270)

9 - 11 მარტი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## თემურ ქეცბაიამ „ნიუკასლში“ კვლავ გაიბრწყინა – „ევერტონთან“ მატჩში ორი გოლი გაიტანა.

მატჩების შედეგები

იხ. მე-4 გვ.








„მანჩესტერი“ – „ჩელსი“ (ფოტო მარცხნივ). მეტოქეებს თავი არ დაუზოგავთ, თუმცა მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს და ხვალ, 10 მარტს ხელმეორედ გაიბრძოლებენ.

სერია A-ს ლიდერი რომის „ლაციო“ კვლავაც მიუწვდომელია, მისმა ჩილელმა ფორვარდმა მარსელო სალასმა კი დუბლი შეასრულა.

## თემა განსჯისათვის

# მრუდე სარკეში

### ანუ იმაზე, თუ როგორ მუსირებს ზღაპარი სპორტის დეპარტამენტის „მერსედესებისა“ და მისთანების შესახებ...

მანქანა, მოგეხსენებათ, ქონებაა, ქონებას კი, მით უმეტეს თუ იგი ფუფუნების საგანია, ათასი ბოროტი თვალი ჰყავს ჩასაფრებული. არა, ყველა ჩასაფრებული ბანდიტი არაა, ზოგიერთს რომ მიუგდო, თუნდაც „მერსედესი“ იყოს, (ცხადია, ძველისძველი), შეიძლება ხელიც არ ახლოს, ის ურჩევნია მის მფლობელს დროდადრო უკიჟინოს, – ქვეყანა იქცევა თქვენ კი „მერსედესებით“ და მისთანებით დაგრიალებთო. მავანი შეიძლება მართლა იმსახურებს ამ შეძახილს და, დიახაც, გამოსაჭენებელია, თუნდაც პრესაში, მაგრამ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის გასაცოდავებული ავტოპარკი (მანქანების შემადგენლობას და ტექნიკურ მდგომარეობას ვგულისხმობთ), ნამდვილად არ იმსახურებს ასეთ „მაღალ“ ყურადღებას. არადა, ერთხელ და ორჯერ? აქაოდა, ამდენი და ამდენი ავტომანქანა ჰყავთ, თავად დაგრიალებენ და სპორტსმენები მშივრები არიანო, ამდენი და ამდენი იხარჯება ბიუჯეტიდან ყოველწლიურად, ამდენს ითხოვენ ავტოპარკის განახლებისთვისო და ა.შ.

ამას წინათ, რედაქციაში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი (№19, 1999წ) მივიღეთ და მის ფურცლებზე სახელმწიფო

იხ. მე-2 გვ.

# ახალი ამბები სფფ-დან

## ემზადებიან უკრაინელებთან შესახვედრად

როგორც ცნობილია, უკრაინისა და საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრები შესაბამისად 20 და 21 მარტს გაიმართება თბილისში ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ და „შევარდენის“ სტადიონებზე. გუშინ სფფ-ს გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან გამართულ საგანგებო თათბირზე დეტალურად განიხილეს ყველა ორგანიზაციული საკითხი, რაც მატჩების მაღალ დონეზე ჩატარებას უზრუნველყოფს.

უკრაინელები თბილისში ჩამოდიან 19 მარტს, იმავე დღეს ჩამოვლენ მსაჯებიც.

## „მზვერავი“ მწვრთნელები საფრანგეთიდან და ნორვეგიიდან...

უკრაინა – საქართველოს ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩზე 19 მარტს თბილისს ეწვევიან საფრანგეთისა და ნორვეგიის მწვრთნელები. მიზანი გასაგებია, ფრანგები უკრაინელთა მეტოქეები არიან, ნორვეგიელები – ქართველების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. სტუმრებს სფფ-ს მოხელეები სპეციალური პროგრამით გაუწევენ მასპინძლობას.

## ხუხაშვილი და მჭედლიშვილი

მოზარდთა იმ მრავალრიცხოვან შეჯიბრებებს შორის, რომელსაც ყოველწლიურად მართავენ ფიდე და ევროპის საჭადრაკო ფედერაცია, ყველაზე უფრო ძლიერად 20-წლიანთა ასპარეზობა ითვლება. ქართველი მოჭადრაკეები სისტემატურად მონაწილეობენ ამ პაექრობებში და მეტად მაღალი შედეგებითაც. ერთადერთი გამონაკლისი იყო მსოფლიო ჩემპიონატები 20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. შარშან ინდოეთში რომ ჩატარდა ჩვენი წარმომადგენლების გარეშე. მიზეზი უკვე თავისმომაბეზრებელი – უსახსრობა იყო. და აი, ეს-ესაა დამთავრდა საქართველოს პირველობა ამ ასაკში, რომელსაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილეები უნდა შეერჩია. გოგონებს შორის ყურადღება მიიქცია 14 წლის სოფიკო ხუხაშვილმა, რომელმაც პარტია პარტიაზე მოიგო (შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა, 9 ტურად). მან საბოლოოდ 7,5 ქულა მოაგროვა, იმდენივე, რამდენიც ანა მათნაძემ. უკეთესი დამატებითი მონაცემებით პირველი ადგილი ხუხაშვილს მიეკუთვნა, რომელმაც პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატში თამაშის უფლება. ახალ ჩემპიონს დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა ავარჯიშებს. ანა მათნაძე ევროპის ჩემპიონატში ითამაშებს. ინგა ჭარხალაშვილი 6,5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა. 6-6 ქულა მოაგროვეს ნათია წურწუმიამ და ლილე ჯავახიშვილმა. ჭაბუკებს შორის ბრწყინვალე შედეგით – 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა მიხეილ მჭედლიშვილი. 7 ქულა მოაგროვა ნიკოლოზ შავთვალაძემ, 6,5-6,5 ქულა თამაზ მგელაძემ და გიორგი ფარესიშვილმა. მჭედლიშვილი მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებს, შავთვალაძე კი ევროპის პირველობაზე.

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II ღრე)

### XVII ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ.) | 17 | 14 | 3 | 0 | 59-9 | 45 |
| 2. ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 45-15 | 41 |
| 3. ლოკომოტივი | 17 | 7 | 10 | 0 | 20-7 | 31 |
| 4. კოლხეთი – 1913 | 17 | 8 | 4 | 5 | 36-28 | 28 |
| 5. დინამო (ბთ.) | 17 | 7 | 7 | 3 | 24-14 | 28 |
| 6. დილა | 17 | 7 | 4 | 6 | 24-22 | 25 |
| 7. მერანი | 17 | 4 | 8 | 5 | 15-19 | 20 |
| 8. იბერია | 17 | 5 | 4 | 8 | 26-32 | 19 |
| 9. სიონი | 17 | 5 | 4 | 8 | 17-33 | 19 |
| 10. გორდა | 17 | 4 | 7 | 6 | 14-21 | 19 |
| 11. არსენალი | 17 | 4 | 7 | 6 | 20-32 | 19 |
| 12. ოდიში | 17 | 5 | 2 | 10 | 12-26 | 17 |
| 13. ვიტ-ჯორჯია | 17 | 5 | 4 | 8 | 15-17 | 16 |
| 14. სამგურალი | 17 | 4 | 2 | 11 | 14-35 | 14 |
| 15. თსუ | 17 | 3 | 5 | 9 | 14-23 | 14 |
| 16. გურია | 17 | 3 | 3 | 11 | 18-40 | 12 |

*ვიტ.ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა.*



ქერქვეთ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში 1500 მეტრზე რბენაში რუმინელმა გაბრიელა საბომ ოქროს მედალი მოიპოვა

## გიორგი კანდელაკი – ესეც შეექვსე!



თუკი ვინმეს აეჭვებდა ქართლის სოფელ ვარიანში აღზრდილი მოკრივის რაიმე წარმატება პროფესიულ რინგზე, თვით გიორგი კანდელაკმა გაჰფანტა მასთან დაკავშირებული ყოველგვარი სკეპტიციზმი, რომელმაც ძლიერთა ამა ქვეყნის რინგზე ზედიზედ უკვე მეექვსე გამარჯვება იზეიმა, როცა ინგლისელ მეტოქეს სტივ დევიდსონს „თავისივე მოედანზე“ მეორე რაუნდში ფარ-ხმალი დააყრევინა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა ნოკაუტით.

## ჟიული შარტავას მემორიალზე

სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნის აღმნიშვნელ ასპარეზობათა შორის მოკრივეთა ტურნირი გამორჩეულია, ვინაიდან სწორედ კრივშია მოჭარბებულად ის რაიონული თვისებები, რაც ახასიათებთ ქვეყნის თავისუფლებისა და ერთიანობისათვის შეწირულ რაინდებს. ასეთი მემორიალური ტურნირი მიეძღვნა აფხაზეთში გმირულად დაღუპული ვაჟკაცის ჟიული შა-

იხ. მე-3 გვ.

## ა ნ ო ნ ს ი

ქართული ჭიდაობის ფედერაციამ შესანიშნავი მაგალითი მოგვცა იმით, რომ მისთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებული პრობლემა თავადვე მოაგვარა, შექმნა საკუთარი კლასიფიკაცია. ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შექმნის იდეა რეალობად ვერ იქცა, ყოველ შემთხვევაში შეთანხმება, არ არის და როდის დასრულდება ან, საერთოდ, დასრულდება თუ არა, არავინ იცის. ამიტომ საკითხისადმი ლოკალური მიდგომით, როგორც ეს ქართული ჭიდაობის ფედერაციამ გააკეთა, ყველა ფედერაციას შეუძლია შექმნას თავისი კლასიფიკაცია თუ თვლის, რომ ეს სტიმულს მისცემს სპორტის განვითარებას და სპორტსმენებს. ამ გზით სიარული, ვფიქრობთ, მისაღებია. თვით ფედერაციებზე უკეთ ვინ იცის, სპორტის სახეობაში როგორია განვითარების დონე და პერსპექტივა, როგორი უნდა იყოს ნორმატივები და ა.შ. (იხ. მე-2 გვ.)



110 000-ადგილიანი სიდნეის ოლიმპიური სტადიონი უდიდესია იმ სარბიელებს შორის, სადაც ოლიმპიური თამაშები ჩატარებულა. ეს სარეკორდო მაჩვენებელი 433,7 მილიონი დოლარი დაჯდა. ამ სტადიონმა სხვა რეკორდიც დაამყარა – რაგბის ლიგის მატჩს 104,583 მაყურებელი დაესწრო, რაც რაგბის ისტორიაში აქამდე არ მომხდარა.

2000 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე სამუშაოები გრძელდება. ავსტრალია, მოგეხსენება, რაგბის ქვეყანაა და სტადიონიც ჯერჯერობით ძირითადად სპორტის ამ არაოლიმპიურ სახეობას მოემსახურება. თუმცა, სულ მალე ის გამრავალფეროვნდება...

## მრუდე სარკეში

(პირველი გვერდიდან)

დაწესებულებებში, ანუ ბიუჯეტით მკვებავ ავტოფარეხებში ავტომანქანების რაოდენობას და შემადგენლობას გავეცანით. შესანიშნავადაა გაშიფრული ყველაფერი – მანქანის მარკა, რაოდენობა, შენახვის ხარჯები წლების მიხედვით და ა.შ. არადა, გავრცელებული ხმებით, დეპარტამენტს უცხოური მარკის ავტომობილების მთელი „არმადა“ ჰყავს.

რა ხდება, სინამდვილეში, როგორაა საქმე, იქნებ იმ ბიულეტენშიც კი გაყალბებულია მონაცემები. ამ თემაზე წერილის მომზადება „ლელომაც“ გადაწყვიტა და სპორტის დეპარტამენტს ვთხოვეთ შემწეობა.

– დიდი სიამოვნებით, – გვითხრეს დეპარტამენტში და წინ დაგვილაგეს ყველა საბუთი. გამოირკვა, რომ დეპარტამენტს სულ ოთხადოთხი მსუბუქი ავტომანქანა ჰყავს და მათ შორის მხოლოდ ერთია „მერსედესი – 500“ ისიც... 1984 წელს გამოშვებული, ერთიც ნივაა და ორიც „ვოლგა“. ეს არის და ეს. დანარჩენი მანქანები ან სამგზავრო-სატვირთოა (7 ერთეული), ან ტექნიკურად გაუმართავია (5 ერთეული). რა არის აქ საგანგაშო? მაგრამ კაცს თუ მრუდედ გინდა წარმოიდგინო ყველაფერი, ძნელი არც ისაა, ავტოფარეხის განახლებისათვის ჩასმულ თანხებში ძველი მანქანების განახლება, თუნდაც გაზრდა კი არა, ავტოფარეხის რემონტი წარმოიდგინო და მერე იმაზეც აყვირდე, რა დროს ავტოფარეხის რემონტია, ხელფასები და სპორტსმენებზე კუთვნილი თანხებია გაუცემელიო. არც იმას არავინ იკითხავს, მოთხოვნილი თანხა, მიიღო თუ არა დეპარტამენტმა – წერია ბიულეტენში და მორჩა! არადა, რომ მიეღო და მართლა რომ შეეძინათ ახალი მანქანები, კონკრეტულად, მიკროავტობუსები, უდიდეს შეღავათს მისცემდა ბიუჯეტს – რუსეთში, თურქეთში, ირანში, სომხეთში, აზერბაიჯანში და შესაძლებელია უფრო შორსაც, სპორტსმენებს ამ ახალი მოდელის მიკროავტობუსებით გადაიყვანდნენ. ისე, იმავე ცნობაში, რომელიც ზემოხსენებულ კვლევის ცენტრში გაიგზავნა სპორტის დეპარტამენტიდან, ისიცაა განმარტებული, რომ „1997 წელს ავტოტრანსპორტის შეძენის თანხები არ იყო დაგეგმილი, ხოლო ტექნიკის შესაძენად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5,8 ათასი ლარი. 1998 წელს ავტოპარკის განახლებისათვის გეგმით გათვალისწინებულია 150,0 ათასი ლარი, ფაქტობრივად, ხარჯები არ გაწეულა, ხოლო ავტოტრანსპორტის შესანახად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 17,0 ათასი ლარი“. აი, ასეთია სინამდვილე.

კიდევ ერთზე უნდა ითქვას, სტატისტიკის ბარათების შემდგენლებს ერთი „უნებლიე იალლიში“ მაინც მოსვლიათ – აღსარიცხავი ავტომანქანების გამოშვების წლები „დავიწყნიათ“. არადა, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. თვით სპორტის დეპარტამენტს არაერთი მსუბუქი და სამგზავრო-სატვირთო ავტომანქანა ერიცხება ბალანსზე, რომლებიც ნამდვილად აღარ უნდა იყოს თავმომწონე სახელმწიფო დაწესებულებაში. სტატისტიკოსების „იალლიშის“ გამოსწორება კიდევ შეიძლება – სპორტის დეპარტამენტმა სასწრაფოდ უნდა მოიშოროს თავიდან უკვე ამორტიზირებული სატრანსპორტო საშუალებები, თორემ ერთ მშვენიერ დღეს მათი აღრიცხვაც რომ მოინდომონ და გამოშვების წლის გრაფა კიდევ გამორჩეთ, აბა განგაში მერე ნახეთ!

თ. თომაშვილი

## იური სიორაძის ხსოვნას



გაუმართლებლად ხშირად ამბობენ: „იშვიათი ბუნების კაცი იყოო“... იშვიათი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან. ასეთ ადამიანთა შორისაც კი მართლაც გამორჩეული იყო საქართველოს ერთიანობისათვის შეუდრეკელი მებრძოლი, თვისი ხალხის სიმშვიდისათვის ბრძოლაში დაღუპული, ღირსეული მამულიშვილი, შესანიშნავი სპორტსმენი, ოზურგეთის პოლიციის უფროსი ბატონი იური სიორიძე.

გულისტკივილით ვიგონებთ იურის როგორც დიდბუნებოვან კაცს, რაც დრო გადის, უფრო მძაფრად ვგრძნობთ, რომ იგი მთელ საქართველოს დააკლდა როგორც უაღრესად ნათელი, დიდი ბუნების ალალი პიროვნება.

იური სიორიძე წესიერების განსახიერება, პირუთვნელი კაცი, მართლაც რაინდი იყო. სიმშვიდე, თავმდაბლობა, უშიშარი ბუნება, მეგობრისადმი ერთგულება, სუსტების ქომაგობა, გულჩვილობა — შერწყმული მისი სამსახურისთვის აუცილებელ სიმკაცრესთან და მოთხოვნებთან — ჭეშმარიტად უძლიერეს პიროვნებას ჰქმნიდა.

მიუხედავად ურთულესი საქმიანობისა, ყოველთვის გამონახავდა დროს ახლოს ყოფილიყო ადამიანებთან, ყველასთან, ვისაც კი მისი დახმარება სჭირდებოდა, განუზომელ სიყვარულს და პატივისცემას მიაგებდა მათ, ამასვე იმსახურებდა თავადაც.

იურის თავი არ დაუზოგავს როცა საქართველოს ერთიანობას საშიშროება დაემუქრა და დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. იგი ბევრს მოგზაურობდა თანამოაზრე მეგობრებთან ერთად და მისთვის ჩვეული შემართებით ხალხში ძმობის, მეგობრობის და მშვიდობის სულისკვეთებას ამკვიდრებდა.

მშვიდად იძინე სამშობლოს წინაშე ვალმოხდილო მეომარო! შენი თავდადება უქმად არ ჩაივლის. თაობები გაიზრდებიან შენი გმირული სულისკვეთების მაგალითით.

**მეგობრები:** რომან რურუა, ვლადიმერ კანკავა, თამაზ მაჭავარიანი, მურმან ჩიბურდანიძე, ომარ ბლიაძე, თემურ ქურციკიძე, ვლადიმერ ხანდოლიშვილი, გივი ბადაშვილი, ესგატე გოგლიჩიძე.

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

### ბაკურიანში, როგორც იქნა, კობა წაქაძის „მართვეები“ აფრინდნენ

თოვლის უკმარისობამ თავისებური დაღი არა მარტო კურორტს დაასვა, არამედ სპორტსაც. და აი, თოვლის საფარმა როგორც კი მოიმატა, კობა წაქაძემ და მისმა შეგირდებმა ტრამპლინებს მიაშურეს. ივარჯიშეს და სეზონის გახსნის (რადგან ჯერ არც ერთი შეჯიბრება არ გამართულა) პირველი სტარტებიც ჩაატარეს 20-მეტრიან ტრამპლინზე.

8-11 წლის ბავშვებში I-II ადგილები ერთნაირი ქულებით (თითოეულს 120 ქულა) გაიყვეს ლევან გურეშიძემ და ვახტანგ თედიაშვილმა. გიორგი კილაძეს – 110, 8 წლის თორნიკე ფანქველიშვილს კი 109 ქულა ჰქონდა.

12-15 წლის ჭაბუკ მფრინავ მოთხილამურეთა საუკეთესო ხუთეული კი ასე გამოიყურება: 1. ლევან კოზანაშვილი – 169 ქულა; 2. არმენ მინასიანი – 154, 3. გიორგი წიკლაური – 151,5, 4. არმენ ხაჩატურიანი – 150, 5. მალხაზ სოტიშვილი – 149.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს საკმაოდ თოვდა და ხტომები გაძნელებული იყო, პატარა მართვეებში ეს არც კი შეიმჩნეოდა ისე მონდომებითთ ეშვებოდნენ ტრამპლინიდან ასპარეზობის ორივე სერიაში.

ბაკურიანელთა და სტუმარ-დამსვენებელთაგან შეჯიბრების მონაწილეებს ბლომად ჰყავდათ გულშემატკივრები.

– უთოვლობამ გაგვაცდინა. ეს რომ არა, 40-მეტრიანი ტრამპლინიდან წელს აუცილებლად აფრინდებოდნენ ჩემი მართვეები, – გვითხრა ბატონმა კობამ და დასძინა, – ყოველ შაბათ-კვირას გვექნება საკონტროლო ვარჯიში-ხტომები.

ამ დღეებში ნორჩი მფრინავი მოთხილამურეები გაზეთების „ლელოსა“ და „ბორჯომის“ ტრადიციულ პრიზს გაითამაშებენ.

ამ საინტერესო ასპარეზობას, ვფიქრობთ, ამჯერადაც გამოუჩნდებიან სპონსორები.

სოფიო ხეთაგაშვილი,
„ლელოს“ კორ. ბაკურიანი



ვახტანგ თედიაშვილი

### სამეგრელოს მოჭადრაკეების ცენტრი სენაკია

სენაკის საჭადრაკო კლუბ „მხედრულში“ ყოველ შაბათს და კვირას ტარდება სამეგრელოს რეგიონის პერსპექტიულ მოზარდ მოჭადრაკეთა ტურნირები სწრაფ ჭადრაკში. აგრეთვე ბლიც-ტურნირები. ამ რეგულარული ასპარეზობის ორგანიზატორები არიან კლუბის დირექტორი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, 85 წლის შოთა ჩიქობავა და სპორტიის ოსტატი გოჩა ტყებუჩავა.

გოჩა შესანიშნავი პედაგოგია. მისი აღზრდილია სენაკელი რომან სიჭინავა, ხობელი ზურაბ ტყებუჩავა, თბილისელი გიორგი ბახტაძე, რომელთა საამაყო მიღწევების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამჟამად ამ ნიჭიერი აღმზრდელის შეგირდები არიან გიორგი შურღულაია, ლევან კილასონია, რომლებსაც უკვე დიდ ტურნირებში აქვთ წარმატება მოპოვებული. „მხედრულის“ რეგულარულ ტურნირებში კი მათ გარდა, მზარდ ოსტატობას ავლენენ მოზარდები სერგო გვასალია, ნოდარ ცირამუა, შოთა ფაცაცია, დავით ლიპარტია და სხვ.

თენგიზ ბოჭორიშვილი,
სენაკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

## სამბო საქართველოს ჩემპიონატი

### პარიზისკენ – საგარეჯოს გავლით...

(დასაწყისი იხ. „ლელო“ №17)

კვარცხლბეკი



**ახალგაზრდები (საგარეჯო)** **48 კგ:** 1. ალექსი ბერუაშვილი (რუსთ), 2. ალექსი შაქარაშვილი (საგარეჯო), 3. დავით ლობჟანიძე (ქუთაისი), ოთარ ქარჩავა (ხობი), **52 კგ:** 1. მერაბ ლაგვილავა (ხობი), 2. გიორგი სომხიშვილი (თბ.), 3. გიორგი ბახტურიძე (ყვარელი), ხვიჩა ივანიშვილი (სამტრედია), **57 კგ:** 1. აკაკი ხანიშვილი, 2. ლევან ბაიაძე (ორივე — გორი), 3. ვახტანგ ხოსიტაშვილი (საგარეჯო), ალექსი ახვერდაშვილი (რუსთ.), **62 კგ:** 1. თემურ ნეფარიძე (ქუთ.), 2. ვახტანგ თოთლაძე (სასაზღვრო ჯარი), 3. ილია მჭედლიშვილი (ყვარელი), ნოდარ მჭედლიშვილი (საგარეჯო), **68 კგ:** 1. ლევან ჭიაბერაშვილი (საგარეჯო), 2. მორის თადუმაძე (გორი), 3. ჯემალ გელაშვილი (რუსთ), თემურ ფირკულაშვილი (საგარეჯო), **74 კგ:** 1. ლევან ანთაძე (ფოთი), 2. დათო ბოდაველი (თბ.), 3. კობა ხაფთანი (მესტია), გიორგი ხიზანიშვილი (გორი), **82 კგ:** 1. ნიკო ბიბილაშვილი, 2. ნიკო მამულაშვილი (ორივე — გორი), 3. უშანგი ქასროშვილი (კასპი), გიორგი დარძული (სასაზღვრო ჯარი), **90 კგ:** 1. ზურაბ ზვიადაური (ახმეტა), 2. გიორგი ჩადუნელი, 3. დავით ზუბიტაშვილი (ორივე — თბ.), რუსლან ჭანტურიძე (ზესტ.) **100 კგ:** 1. დავით ლილუაშვილი (თბ.), 2. დავით დარძული (სასაზღვრო ჯარი), 3. ენრი კობახიძე (ლაგოდეხი), **+100 კგ:** 1. დავით ხაბულიანი (ლენტეხი), 2. მიხეილ ჩხაიძე (თბ), 3. ენრი ქანთარია (ზუგდიდი).

## გამოხმაურება

### სიტყვიდან – საქმეზე!

### ქართულ ჭიდაობაში აღსდგა სპორტის ოსტატის წოდება

პატივცემულო რედაქცია!

თქვენი გაზეთის მე-9 ნომერში რუბრიკით „თემა განსჯისათვის“ გამოქვეყნდა წერილი „ოსტატობის რესტრი, ანუ გვინდა თუ არა სპორტული კლასიფიკაცია“. ამ პუბლიკაციის შემდეგ, ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში არაერთი ბარათი შემოვიდა საქართველოს რაიონებიდან თხოვნით, აღვვედგინა სპორტული კლასიფიკაცია სპორტის ამ ეროვნულ სახეობაში. ფედერაციამ იმსჯელა ამ საკითხზე და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში შევიდა შესაბამისი წინადადებით. დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ ყურადღებით განიხილა ჩვენი ინიციატივა. მოითხოვა სათანადო ნორმატივებისა და დოკუმენტაციის შედგენა, რომლის ირგვლივ მსჯელობის შემდეგ, დეპარტამენტმა ნება დაგვრთო ფედერაციის კომპეტენციის ფარგლებში აღვადგინოთ სპორტის ოსტატის წოდება ქართულ ჭიდაობაში და მივანიჭოთ ეს წოდება ფალავნებს, რომლებიც საკლასიფიკაციო ნორმატივს შეასრულებენ.

იური იმერლიშვილი,
ქართული ჭიდაობის
ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

## «სპორტული საქართველო» მომავალ პარლამენტში

### მარნეულშიც დაფუძნდა

საქართველოს პარლამენტში 1999 წლის ბიუჯეტის განხილვამ ჩვენი ქვეყნის სპორტული სამყარო კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ ამ საკანონმდებლო ორგანოში ვერ შეიქმნა ეროვნული სპორტის ინტერესების დამცველი ლობი. მეტიც, ცალკეული დეპუტატებიც სდუმან, მაშინ, როცა ქვეყანაში სპორტი შენელებული ყურადღებისა და პირველ ყოვლისა, ფინანსური ხელმოკლეობის გამო, უფსკრულისკენ მიექანება. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დარაზმა „პოლიტიკური გაერთიანება სპორტული საქართველოს“ რიგები და ისინი სერიოზულ მუშაობას ეწევიან მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თავიანთი კანდიდატურების ასარჩევად. გრძელდება ამ ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების შექმნა. ამ დღეებში ასეთი ორგანიზაცია დაფუძნდა მარნეულის რაიონში, სადაც შეკრებილების წინაშე ინფორმაციით წარსდგნენ პოლიტიკური გაერთიანების მთავარი საბჭოს წევრები გურამ საღარაძე, გიორგი მაკასარაშვილიი, ირაკლი კიზირია და ამირან აბესაძე.

კრებამ „პოლიტიკური გაერთიანება სპორტული საქართველოს“ მარნეულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია რიზმან მურსაკულოვი, რომელიც ამჟამად საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობის ქვემო ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა.

სააგენტო „გუშათი“

ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი აცხადებს, რომ 21-23 და 25-27 მარტს ჩატარდება სასწავლებლის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში 1986-1987 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

შეჯიბრების მიზანს წარმოადგენს პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენა და მათი 1999/2000 სასწავლო წელს სასწავლებელში ჩასარიცხ კანდიდატებად აღრიცხვა.

სასწავლებლის დირექცია

**SOS**

**ჩოხატაურის რაიონის სპორტული ბაზები თანდათან კარგავენ არა მხოლოდ ფუნქციას, რამედ იერსაც. მათი უმრავლესობა გაპარტახებული ან ავარიულია. დღეს ძნელიც კია გაარკვიო ვინაა მათი პატრონი, ზოგიერთი მათგანი მომაკვდინებელი ანექსიის მსხვერპლიც გახდა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟიული შარტავას მემორიალზე

(პირველი გვერდიდან)

რტავას სახელის უკვდავყოფას, რომელში გმირულად დაღუპული ვაჟკაცის ჟიული შარტავას სახელის უკვდავყოფას, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან 55 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ქართველ მეტალურგთა ქალაქში, რომელთანაც ბევრი რამ აკავშირებდა ჭეშმარიტად სახალხო გმირს, გაიხსნა ჟ. შარტავას ბიუსტი, თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ კი მისი ხსოვნა აღნიშნა მოკრივეთა საქალაქო ჩემპიონატით.

ქალაქის უძლიერესი მოკრივეების პაექრობებს, ვერის პარკის კრივის დარბაზში, მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა დაესწრო, რაც უცილობლად თვით ტურნირის სტატუსმა განაპირობა. კრივის მოყვარულებმა რინგზე არაერთი საინტერესო ორთაბრძოლა იხილეს. ეს განსაკუთრებით გუშინ გამართულ ფინალურ შეხვედრებზე ითქმის. დასკვნითი ბრძოლებისადმი ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ მასში ჩვენი ქვეყნის არაერთი წამყვანი მოკრივე გამოდიოდა, რომელთა შესახებ ჩვენს ქომაგებს მხოლოდ გაზეთების საშუალებით თუ მოეპოვება რაიმე ცნობა მათი საზღვარგარეთული გამოსვლების შესახებ. ახლა კი მათ საშუალება მიეცათ თვალნათლივ ენახათ მათი ოსტატობა. პირველსავე წყვილში მათ იხილეს 51 კგ წონაში დათო ადამაშვილისა და ფიზული ჯაფაროვის საინტერესო ორთაბრძოლა. დავითს არაერთი საერთაშორისო შეხვედრა მოუგია და ახლაც ოთხივე რაუნდში მაღალი ოსტატობა აჩვენა და გაიმარჯვა. ადამაშვილების ოჯახის სპორტული ღირსება მისმა ძმამ ავთანდილმაც შესანიშნავად დაიცვა მიხეილ მელიქიშვილთან ბრძოლაში და გაიმარჯვა ვადამდე – მესამე რაუნდში, აშკარა უპირატესობით.

მაყურებლებს ბევრი წაუკითხავთ ქვემძიმე წონის (81 კგ) დათო გეგეშიძის სხვა ქვეყნებში გამოსვლის შესახებ. მან აქაც საკმაოდ უხერხულ მეტოქე ლერი ოხანაშვილთან ღირსეულად გაიმარჯვა.




*51 კგ:* 1. დათო ადამაშვილი, 2. ფიზული ჯაფაროვი, 3. გიორგი ბერკაციშვილი. *57 კგ:* 1. ავთანდილ ადამაშვილი, 2. მიხეილ მელიქიშვილი, 3. ანდრო ქოროღლიანი, თამაზ შენგელია. *63,5 კგ:* 1. გიორგი კაპანაძე, 2. როლანდ კვაჭაძე, 3. ირაკლი ნოდია, გიგი მგელაძე; *67 კგ:* 1. რეზო ბოჭორიშვილი, 2. სპარტაკ ჭინჭარაული, 3. ანტონ ევსენიოვი (მეტი მონაწილე არ ყოფილა). *71 კგ:* 1. მანუჩარ მოდებაძე, 2. ბესო ბოჭორიშვილი (მეტი მონაწილე არ ყოფილა). *75 კგ:* 1. დათო ქრისტესიაშვილი, 2. დათო წიკლაური, 3. ზურაბ ქებაძე, ზურაბ მუზაშვილი; *81 კგ:* 1. დათო გეგეშიძე, 2. ლერი ოხანაშვილი (მეტი მონაწილე არ ყოფილა). *91 კგ:* 1. ალექსანდრე სულხანიშვილი, 2. გოჩა ყაველაშვილი, 3. ნუკრი მუმლაძე, რამაზ კიკალიშვილი. *+91 კგ:* 1. შალვა გოგოლაძეს მეტოქე არ ჰყოლია.

გამარჯვებულებს ქალაქის სხვადასხვა ფირმამ უამრავი ჯილდო გადასცა.

ჯ. უნბიაძე

**წყალბურთი | საერთაშორისო ტურნირი**

## «სატივე» ნიჟნი-ნოვგოროდში



წყალთა სახეობების ფედერაციის (პრეზიდენტი ვ. გოიაშვილი) ძალისხმევით ჩვენი წყალბურთელების კიდევ ერთი გუნდი გასცდა საქართველოს საზღვრებს და ნიჟნი-ნოვგოროდში გამართულ 1984-86 წლებში დაბადებულთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. ეს იყო „ლაგუნა-ვერეს" გუნდი „სატივე", რომელიც შარშან შეიქმნა და მიზნად აქვს დასახული ოლიმპიური რეზერვის სკოლისთვის კანდიდატები შეარჩიოს (მწვრთნელები ალექსანდრე გელაძე და ბორის მეგედი). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებს უმძიმეს პირობებში უხდებათ წვრთნა, სტუმრად ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ და იმ 8 გუნდს შორის მოხვდნენ, რომლებმაც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა გააგრძელეს. საბოლოოდ „სატივემ" VII ადგილით დაასრულა თავისი პირველი საერთაშორისო ტურნირი (ეს ბოლო მატჩი მოსკოვის „ტორპედოს" მოუგო – 5:4).

**რაგბი | მსოფლიო თასის გათამაშება**

## ტონგაში 37:6

ჩვენ სულ იმედით ვცხოვრობთ, მათ შორის სპორტში და კონკრეტულად, რაგბიში. ადრინდელი ხელმოცარვა ხან რას ბრალდებდა, ხან რას. იმედი კი ყოველთვის იყო. ამ იმედით გაემგზავრნენ ჩვენები ტონგასთან შესახვედრად. მეტოქე, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ იყო, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებმა კარგად იცოდნენ, მაგრამ ეტყობა, მათი მხრიდან ასეთ თავგამოდებას არ ელოდებოდნენ ჩვენები და თუ რამ ნაკლი ჰქონდათ (განსაკუთრებით ფიზიკურ მომზადებაში), ზედ ფსიქოლოგიური წნეხიც დაერთო. ყულაფერმა ამან ლამის მთლიანად გამოიყვანა მწყობრიდან ქართველი ბორჯღალოსნები, რაც მათი მხრიდან უხეშ თამაშში გადაიზარდა. ორი ტონგაელი საკაცითაც კი გაიყვანეს მოედნიდან. ანგარიში თავიდანვე მასპინძლები დაწინაურდნენ და საბოლოოდ დიდი სხვაობით სძლიეს დაბნეულ სტუმრებს 37:6.



საპასუხო მატჩი გაიმართება თბილისში 28 მარტს.

ტონგაში საქართველოს ეროვნული ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: მალხაზ მურაშვილი, ბადრი კჟელაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ილია მაისურაძე, არჩილ ქავთარაშვილი, პავლე ჯიმშელაძე, შოთა მოდებაძე, ზურაბ მჭედლიშვილი (კაპიტანი), გრიგოლ ლაბაძე, ვასილ კაცაძე, სოსო პარციკანიშვილი, ვანო ნადირაძე, ლევან ცაბაძე, აქვსენტი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, ირაკლი გორხელიძე, ბესიკ ტეფნაძე, ვასილ აბშილიძე, ვიქტორ დიდებულიძე, ალექსანდრე ესართია, სოსო ნიკოლენკო.

მ. ფუფუნავა

**ფირმა გთავაზობთ:**

უცხოური წარმოების საბურავების დასაშლელ-ასაწყობ და ბალანსირების დანადგარებს, ფარების მარეგულირებელს, მანქანის კარებების მინების ელექტროამწევებს, ლუკებს, „MOMO"-ს ფირმის დისკებს სხვადასხვა მარკის ავტომობილებისთვის.

FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა.

**საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)**

## XVII ტური

**დინამო (ბათუმი) – იბერია (სამტრედია) 1-0**

***დინამო:*** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ი. მახარაძე, მაჭუტაძე, კანტიძე (გადელია, 79), რუსია (ომანაძე, 78).
***იბერია:*** გ. დოლიძე, მიქელაძე, ქველაძე, გეგეშიძე, თოდუა, ვარდიაშვილი (ფილიპაშვილი, 65), ს. გიგიაძე, ხუჭუა, მუმლაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ფხაკაძე, 80).
***გოლი:*** რუსია (52).
***გააფრთხილეს:*** ქველაძე, ი. მახარაძე, ლურსმანაშვილი, თოდუა
***მსაჯი:*** იოსებ შალამბერიძე (თბილისი).

**ოდიში (ზუგდიდი) – ლოკომოტივი (თბილისი) 0-1**

***„ოდიში":*** ნაყოფია, ღურწკაია (ჭურღულია, 53), კ. კვეკვესკირი, აფაქიძე, ჯავაშვილი, აკობია, ტაბაღუა, კუტალია (ალანია, 57), მარკოზია, გოგოხია, გვიჩია,
***ლოკომოტივი:*** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ნ. მინდიაშვილი (კ. მელქაძე, 78), ბარნოვი, ზ. არჩვაძე, გოგობერიშვილი (მარლიშვილი, 67), კაციაშვილი, ხუჯაძე, ხორგუაშვილი (ვ. კილასონია, 24), დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე.
***გოლი:*** დ. გოდერძიშვილი (77, პენ.)
***გააფრთხილეს:*** მარკოზია, აფაქიძე, გოგობერიშვილი, ტაბაღუა, დ. გოდერძიშვილი.
***მსაჯი:*** გურამ ასკაროღლი (ქარელი).

**სიონი (ბოლნისი) – დილა (გორი) 1-0**

***სიონი:*** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, (გ. ჩალაძე, 65), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე, გოგოლაძე, გაგუა, სულთანიშვილი (დ. ჯაფარიძე, 75), მოსეშვილი.
***დილა:*** სოლოღაშვილი, ფეზუაშვილი, გაგნიძე, ვ. სამხარაძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, შატაკიშვილი, ახალკაცი, ლომიძე, მ. მინდიაშვილი.
***გოლი:*** მოსეშვილი (27).
***გააფრთხილეს:*** გ. სამხარაძე, გაგუა, ე. ჯაფარიძე.
***მსაჯი:*** სოსო ·კახიანი (თბილისი).





**გორდა (რუსთავი) – სამგურალი (წყალტუბო) 2-0**

***გორდა:*** ბელიაშვილი, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, გ. სახვაძე (ბერიძე, 35), ინასარიძე, გ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი (ლაბაძე, 88), ლ. ალადაშვილი (ჩიგოშვილი, 81), მიშველაძე.
***სამგურალი:*** ხაჩირაშვილი, ჯავახაძე (ფრანგიშვილი, 47), ბურნაძე, ლ. ქობულაძე, სუხიაშვილი, ძაგნიძე (ახალაძე, 74), მახვილაძე, გ. კილასონია, გიორგობიანი, მ. ჯინჭარაძე (დარსაძე, 75), გ. შენგელია.
***გოლები:*** მელაძე (72), მიშველაძე (73).
***გააფრთხილეს:*** ბექაური, გ. კილასონია, . მელაძე, ბურნაძე, ზირაქაძე, მახვილაძე, გ. შენგელია.
***გააძევეს:*** ბურნაძე (46)
***მსაჯი:*** ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

**კოლხეთი-1913 (ფოთი) – ტორპედო (ქუთაისი) 1-2**

***კოლხეთი:*** მ. გვასალია, გ. გიორგაძე, ტორჩინავა, ქობულაძე, ჩადუნელი, ამაშუკელი, ღლანიძე, კალანდაძე, ე. გვასალია, შავგულიძე, ტრაპაიძე.
***ტორპედო:*** ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, იმედაძე (მეტრეველი, 61), დ. ჯანაშია (ვაჩიბერიძე, 82), მეგრელაძე, იონანიძე.
***გოლები:*** იონანიძე (19), შავგულიძე (26), მეგრელაძე (64).
***გააფრთხილეს:*** ღლანიძე, იონანიძე, ხვადაგიანი, ვაჩიბერიძე.
***მსაჯი:*** თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

**მერანი-91 (თბილისი) – დინამო (თბილისი) 0-2**

***მერანი:*** ლომაია, ე. ალადაშვილი (თოლორდავა, 66), ასპინძელაშვილი, დავითხიძე, ქიხჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, დანელია (დევიძე, 44), ჩუხუა, ხუციშვილი, დავითაშვილი.
***დინამო:*** გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, მაჭავარიანი, გუჩუა, ხიზანეიშვილი, ჩომახიძე, ქებაძე, ალექსიძე, აშვეთია, წიტაიშვილი (კვარაცხელია, 85).
***გოლები:*** ჩომახიძე (37), წიტაიშვილი (54),
***გააფრთხილეს:*** წიტაიშვილი, ჯიშკარიანი, დავითნიძე, ალექსიძე.
***მსაჯი:*** ალეკო კრიჭაშვილი (თბილისი).

**ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – არსენალი (თბილისი) 0-0**

***ვიტ-ჯორჯია:*** ჭურაძე, ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, ერაძე, ი. კაპანაძე, ზ.გვაზავა, გ. ქორიძე, კ. ალადაშვილი (ნოზაძე, 85), გ. გვაზავა (გვირჯიშვილი, 86), ვ. მაისურაძე, ვ. გოჩაშვილი.
***არსენალი:*** ჩლაიძე, ლაცაბიძე, ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, კაკუბავა, კაპანაძე (აბაზაძე, 65), ამირიძე, კაკაშვილი (თვალაბეიშვილი, 75), ტარიელაშვილი.
***გააფრთხილეს:*** გველესიანი, ზ. გვაზავა.
***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (სოხუმი).

## XVII ტურის სტატისტიკა

● ტურის „მოვლენად" შეიძლება ჩაითვალოს თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ზედიზედ მე-6 და მე-5 გამარჯვებები შესაბამისად. აღსანიშნავია აგრეთვე წყალტუბოს „სამგურალის" ზედიზედ მესამე მარცხი.

● სულ ტურში გატანილია 10 ბურთი, რაც წინა ტურებთან შედარებით ყველაზე დაბალ მაჩვენებელს შეადგენს. მასპინძლებმა გაიტანეს 5 ბურთი, ამდენივე სტუმრებმაც. პირველ ნახევარში გატანილია 4 ბურთი, მეორეში კი – 6.

● მასპინძლებმა გაიმარჯვეს 3 შეხვედრაში, სტუმრებმაც 3 მატჩში. ფრედ დამთავრდა 2 მატჩი.

● ტურში დანიშნულია 2 პენალტი. რეალიზებულია ერთი. (ი. მახარაძის დარტყმა მოიგერია გ. დოლიძემ).
ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 48 პენალტი, აქედან რეალიზებულია 37.

● ტურში შემდეგმა მეკარეებმა „შეინახეს" თავიანთი კარი „მშრალად": ნიკურაძე – „გურია"; გაბელია – „თსუ"; ჯანელიძე – „ლოკომოტივი", დალაქიშვილი – „სიონი"; ბედიაშვილი – „გორდა"; ტოგონიძე – „დინამო" ბთ; გვარამაძე – „დინამო" თბ; ჭურაძე – „ვიტ-ჯორჯია" და ჩლაიძე – „არსენალი". საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან დ. ჯანელიძისათვის ეს მე-10 „მშრალად" ჩატარებული მატჩია. შემდეგ მოდიან: დ. გვარამაძე – 7 მატჩი; ს. ჭურაძე – 6; თ. ჩლაიძე („არსენალი") – 6. მ. ქორიძე („გორდა") – 5; გ. ლომაია („მერანი – 91") – 5; ზ. ქვაჩახია („კოლხეთი" – 1913) – 5.

● ტურში გააფრთხილეს 30 ფეხბურთელი, ხოლო ერთი (ბურნაძე) გააძევეს მინდვრიდან.
ყველაზე „უხეში" მატჩი იყო: „გორდა" – „სამგურალი" რომელშიც 7 ფეხბურთელი გააფრთხილეს და ერთი გააძევეს.

● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო" თბ.) – 15 ბურთი.
ზ. იონანიძე („ტორპედო") – 14
პ. წივწივაძე („ლოკომოტივი") – 11
ა. კაიდარაშვილი („დილა") – 9
დ. მახარაძე („გურია") – 9
ლ. ცქიტიშვილი („დინამო" თბ.) – 8
ლ. ხომერიკი („დინამო" თბ.) – 8
რ. ალექსიძე („დინამო" თბ.) – 8
დ. ჯანაშია („ტორპედო") – 8
გ. მეგრელაძე („ტორპედო") – 8
ზ. ზირაქიშვილი („არსენალი") – 7
შ. ჩომახიძე („დინამო" თბ.) – 7
პ. მაჭუტაძე („დინამო" ბთ.)
დ. გოდერძიშვილი („ლოკომოტივი") – 7.

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## აიაქსური ამბები



ბურთთანაა შოთა არველაძე

ტრავმირებულ შოთა არველლაძეს მომავალი კვირიდან ვარჯიშის ნებას დართავენ და შესაძლოა თვის ბოლოსთვის ჩვეულ სპორტულ ფორმაში შევიდეს. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, შოთა „ევრო — 2000“-ზე სლოვენიასთან მატჩში წარსდგება ჩვენი გულშემატკივრების წინაშე. „აიაქსის“ მეორე ქართველ ლეგიონერ გიორგი ქინქლაძეს რაც შეეხება, მისი პრემიერლიგაში (ინგლისი) დაბარგება უახლეს მომავალში არ შედგება და ჩვენებური ჰოლანდიაში ჩაამთავრებს სეზონს. სამაგიეროდ, „აიაქსის“ ფინელმა ლეგიონერმა იარი ლიტმანენმა მოაკვარახჭინა საrფიანი ტრანსფერი — ის მომავალ სეზონიდან „ბარსელონაში“ ითამაშებს და სავარაუდოდ წლიური გასამრჯელო 3 მილიონი დოლარი ექნება. ეს ტრანსფერი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უკვე შედგენილია, მაგრამ ხელმოწერილი ჯერ არ არის. თუ ფორმალური საკითხები მოგვარდება, „აიაქსის“ მწვრთნელმა იან ვოუტერსმა შესაძლოა ლიტმანენის ამპლუა ქინქლაძეს გადააბაროს — მისი სტიქია, ლიტმანენის დარად, ხომ ფორვარდების უკან თამაშია. მოკლედ, იმედს გამოვთქვამთ, რომ ლიტმანენის წასვლის შემდეგ მაინც ქინქლაძეს მისცემენ შანს „აიაქსშიც“ თავისი ფეხბურთი ითამაშოს.

## მინისტრობას მწვრთნელობა ამჯობინა



პელემ, რომელიც რამდენიმე წელს ბრაზილიის სპორტის მინისტრად მუშაობდა, მაინც ამჯობინა ფეხბურთს დაბრუნებოდა. იგი „სანტოსის“ კლუბის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ გუნდებს ჩაუდგა სათავეში. ამასთან, აქტიურად თანამშრომლობს პრესასთან, თვალყურს ადევნებს საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებას.

პელეს ძალიან არ მოსწონს ფიფას ექსპერიმენტი მატჩის ორი არბიტრით გაძღოლის შესახებ. იგი ამ სიახლეში რაიმე აზრს ვერ ხედავს: „ყველა იმ ცდიდან, რომელიც ამ ბოლო ხანებში მსაჯობის გასაუმჯობესებლად მიიღეს, არც ერთი არ მომწონს. არა მგონია, რომ ორ არბიტრს მინდორზე რაიმეს გამოსწორება შეეძლოს. დეე, ყველაფერი უცვლელად დარჩეს“. პელეს არც სადავო მომენტების დროს ვიდეოჩანაწერის ნახვა მოსწონს და არც მსოფლიო ჩემპიონატების ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარება.

პელემ აზრი გამოთქვა თავის თანამემამულე რონალდოს შესახებაც, რომლის ტრავმა თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობა ახლა გულშემატკივართა მილიონებს ძალიან აღელვებთ. პელემ განაცხადა, რომ „რონალდოს შეუძლია მთლიანად აღიდგინოს თავისი ფიზიკური „ფორმა“, მაგრამ რაც შეეხება ფსიქოლოგიური სიძნელეების გადალახვას, ეს უფრო ძნელი ამბავია“. აქ რონალდოს მდგომარეობას ართულებს ის, რომ მას მთელი ფეხბურთის სამყარო ადევნებს თვალს. „დიდი შეცდომა იყო მისი გამოყვანა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ფრანგების წინაალმდეგ. დიახ, რონალდო ვარსკვლავია, მისი თამაში საყოველთაო ინტერესს იწვევს, მაგრამ ხომ არ შეიძლება არაბუნებრივი რამ მოვთხოვოთ.

## ინგლისის ასოციაციის თასი: 1/4 ფინალი

**არსენალი – დერბი 1-0**
*გოლი:* კანუ (89)

**მანჩესტერი – ჩელსი 0-0 (მატჩი გადათამაშდება 10 მარტს)**
**ბარნსლი – ტოტენჰემი** (უამინდობის გამო გადაიდო და ჩატარდება 16 მარტს)
**ნიუკასლი – ევერტონი 4-1**
*გოლები:* 1-0 ქეცბაია (21), 1-1 ანსუორთი (57), 2-1 გეორგიადისი (62), 3-1 ქეცბაია (73), 4-1 შირერი (81).
ნახევარფინალები 11 აპრილს გაიმართება. თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი“ „ბარნსლი“ – „ტოტენჰემის“ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება, „არსენალი“ კი „ჩელსი“ – მანჩესტერისას“.

## ეროვნული ჩემპიონატები

**ინგლისი ● XIX ტური**
ქოვენთრი — ჩარლტონი 2-1, საუთჰემპტონი — ვესტ-ჰემი 1-0, უიმბლდონი — ლესტერი 0-1.
*ლიდერობენ:* მანჩესტერი (57 ქულა), ჩელსი (53), არსენალი (50).

**ესპანეთი ● XXV ტური**
ოვიედო-დეპორტივო 1-2, ალავესი — მალიორკა 2-0, სოსიედადი — ვილიარეალი 2-0, ესპანიოლი — ვალიადოლიდი 0-2, ხალამანკა-ბარსელონა 1-4, ვალენსია — ატლეტიკი 4-1, რეალი-სარაგოსა 3-2, ესტრემადურა — რასინგი 0-3, სელტა — ბეტისი 4-0, ტენერიფე — ატლეტიკო 1-0,
*ლიდერობენ:* ბარსელონა (47 ქულა), ვალენსია (43), მალიორკა (42), სელტა (42)

**ჰოლანდია ● XXIV ტური**
ბრედა-ჰერენვენი 2-2, აზ-67 — კამბური 3-1, მაასტრიხტი — ტვენტე 2-5, ვიტესი — ფორტუნა 1-2, როდა — ეინდჰოვენი 1-3, სპარტა — ნაიმეგენი 1-0, ვაალვიკი — ტილბურგი 1-3, აიაქსი — უტრეხტი 5-2, გრააფსჰაფი — ფეიენოორდი 3-4.
*ლიდერობენ:* ფეიენოორდი (55 ქულა), ვიტესი (44), აიაქსი (41).

**იტალია ● XXIV ტური**
სამპდორია — იუვენტუსი 1-2, პერუჯა — ემპოლი 3-1, ბარი-ინტერი 1-0, ფიორენტინა — პარმა 2-1, მილანი — პიაჩენცა 1-0, უდინეზე — რომა 2-1, ლაციო-სალერნიტანა 6-1, ბოლონია — ვენეცია 2-1, კალიარი — ვიჩენცა 1-0.
*ლიდერობენ:* ლაციო (51 ქულა), ფიორენტინა (47), მილანი (46), პარმა (44).

**გერმანია ● XX ტური**
ბაიერნი — ფრაიბურგი 2-0, დუისბურგი — ჰანზა 4-1, ნიურნბერგი — შალკე 3-0, ბოხუმი — დორტმუნდი 0-1, შტუტგარტი — აინტრახტი 2-0, ვოლფსბურგი — ჰამბურგი 4-1, ჰერტა — კაიზერსლაუტერნი 1-1, მიონხენგლადბახი — მიუნხენ-1860 2-0, ბაიერი— ვერდერი 2-0.
*ლიდერობენ:* ბაიერნი (53 ქულა), ბაიერი(41), კაიზერსლაუტერნი (39).

## რჩება 9 ტური

### საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

ხვალ, 10 მარტს, გიმართება საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი, 26-ე ტური. გრძელდება პირველი ადგილის ორი პრეტენდენტის: „ოლიმპიკისა“ (მარსელი) და „ბორდოს“ მძაფრი დავა. ჩემპიონობის მესამე პრეტენდენტი კი უკვე კარგახანია, უბრალოდ, არა ჩანს. „ლიონი“ მთელი 10-9 ქულით ჩამორჩება მათ, უნდა ვიფიქროთ, წინ წაწევის რეალური შესაძლებლობა არა აქვს. იგი თავისი ახლანდელი მდ-



ბლანი

გომარეობის შენარჩუნებითაც ძალიან კმაყოფილი უნდა იყოს.

რომ „ოლიმპიკი“ და „ბორდო“ ევროპული მასშტაბითაც ძალიან ძლიერი გუნდებია, ეს მათ უეფას თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩებშიც დაამტკიცეს. ძნელი სათქმელია, გავლენ თუ არა ისინი შემდგომ ეტაპზე, მაგრამ „სელტასა“ და „პარმას“ თუნდაც მცირე უპირატესობით დამარცხება (ორივე შეხვედრაში 2-1) ბევრს ნიშნავს, თუ ესპანური და იტალიური კლუბების ახლანდელ შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ.

XXII ტურის შემდეგ, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ლიდერებს 48-48 ქულა ჰქონდათ. XXIII ტურში „ოლიმპიკმა“ მოიგო, „ბორდო“ კი ფრეს დასჯერდა. XXIV ტურში „ოლიმპიკი“ დამარცხდა, „ბორდომ“ კი მოიგო და კონკურენტს ქულით გაუსწრო. ასეთი საქანელა შემდეგშიც გაგრძელდა. მომდევნო შეხვედრა „ოლიმპიკმა“ მოიგო, „ბორდო“ ფრეს დასჯერდა და...

დღეისათვის „ოლიმპიკს“ 54 ქულა აქვს. მას წარმოშობით მარსელელი როლან კურბისი წვრთნის, რომელსაც მშობლიურ ქალაქში არ უმუშავია უკვე... 25 წელი! სწორედ იმ 25 წლის წინ იგი მშობლიურ „ოლიმპიკში“ თამაშობდა, მაგრამ სულ სამი მატჩი ჩაატარა და მისი დატოვება მოუხდა. სად არ თამაშობდა, რომელ კლუბს არა წვრთნიდა, მათ შორის ახლანდელ მთავარ მეტოქე „ბორდოსაც“, რომელსაც ჩემპიონობა მოუტანა, ახლა თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, რათა „ოლიმპიკიც“ ჩემპიონი გახადოს. როგორც ფრანგი მიმომხილველების უმეტესობა ფიქრობს, იგი ამას კიდევაც გააკეთებს. კურბისი ფიქრობს, რომ „ოლიმპიკის“ პრეზიდენტ რობერ ლუის-დრეიფუსის გარეშე ვერაფერს მიაღწევდა.

— წავიდა ის დრო, როცა საკმარისი იყო ერთ კლუბში საუკეთესო ფრანგი ოსტატების თავმოყრა, მათთვის რამდენიმე უცხოელის დამატება და წარმატებამდე აღარაფერი რჩებოდა. ახლა ეს ცოტაა, ძალიან ცოტა. საჭიროა ინფრასტრუქტურის შექმნა. თუ სერიოზული ინვესტიციები არ მოიზიდე, კლუბი მხოლოდ საშუალო დონისა იქნება, სადმე მეშვიდე ან მეთორმეტე ადგილებს დაიჭერს. მაშინ ვერც მადრიდის „რეალს“ ვერაფერში შევეჯიბრებით და ვერც მილანის „ინტერს“.

● ***კაცმა რომ გისმინოთ, გამოდის, რომ ლუის-დრეიფუსი დიდი პრეზიდენტი ყოფილა.***

— უანასკნელი 20 წლის მანძილზე „ოლიმპიკს“ სამი დიდი პრეზიდენტი ჰყავდა: ლეკლერკი, ტაპი და ლუის-დრეიფუსი. პირველი ორის ხელმძღვანელობის დროს „ოლიმპიკი“ მწვერვალზე აღმოჩნდა. მაგრამ შემდეგ ძირს დაექანა. ახლა მესამე პრეზიდენტი ცდილობს რომ საქმე ასე ცუდად აღარ წარიმართოს.

● ***უყვარხართ მარსელელ გულშემატკივრებს?***

— გააჩნია, როგორ ვთამაშობთ. როდესაც ვაგებთ, 60 ათასი გულშემატკივარი თავის გადაწყვეტილებას გვთავაზობს, კარგია, რომ არ ვუსმენ, თორემ კამარა უკვე კარგა ხანია აფრიკაში უნდა დამებრუნებინა, რავანელი „რავიოლი“ (იტალიური საჭმელი, ხინკლის მსგავსი) გახდებოდა, პირესი კი საზღვარგარეთ უნდა გამეშვა, რადგან, გულშემატკივართა აზრით, მას „არა აქვს მტკიცე ხასიათი“, ისეთი, რომ მარსელის „ველოდრომზე“ ითამაშოს.

„ოლიმპიკის“ შემადგენლობა ახლა მართლაც ძალიან ძლიერია. კარს საიმედოდ იცავს პორატო, თუმცა, მიმომხილველთა აზრით, კლუბს არც უფრო მაღალი კლასის მეკარე აწყენდა. დაცვაში უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავენ ცნობილი ოსტატის ლორან ბლანის საიმედო თამაშს. შუა ხაზზე მწვრთნელმა დაიმატა საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ბრავო, რომელიც ადრე „პარმაში“ გამოდიოდა. შეტევით ხაზზე დიდი არჩევანია: დიუგარი, მორისი, პირესი, რავანელი. ასეთი თავდამსხმელები არც ერთ სხვა ფრანგულ კლუბს არა ჰყავს.

ხვალ „ოლიმპიკი“ სტუმრად ეთამაშება „სოშოს“, რომელიც „მტკიცედ დამკვიდრდა“ ბოლო, მეთვრამეტე ადგილზე. აი ლიდერის მომდევნო შეხვედრებიც: „20 მარტს იგი ეთამაშება კიდევ ერთ აუტსაიდერ „ლორიენს“, ამჯერად საკუთარ, „ველოდრომის“ სტადიონზე, ხოლო 3 აპრილს ძნელი შეხვედრა აქვს სტუმრად მეოთხე ადგილზე მყოფ „მონაკოსთან“. „ოლიმპიკის“ ახლანდელი ბურთების სხვაობაა 43-20.

„ბორდო“ 53 ქულით მეორე ადგილზეა, და, ცხადია, გააფთრებით განაგრძობს ბრძოლას. მას ელი ბოპი წვრთნის. იგი ძალიან კმაყოფილია, რომ ამას წინათ პრინციპულ მატჩში „ოლიმპიკი“ დაამარცხა. „კმაყოფილი ვარ, რომ ჩემმა მოთამაშეებმა ყველაფერი შემისრულეს, რაც კი დავავალე. თამაშის ასეთი ხარისხი იმედს გვაძლევს, არავისი არ უნდა გვეშინოდეს და თამამად წავიდეთ წინ. ჩვენ „ოლიმპიკის“ წინააღმდეგ თავს ვიცავდით... შეტევებით, ოდნავადაც არ ვუფრთხოდით მეტოქეს“. საინტერესოა, რომ „ბორდოს“ ლიდერზე უკეთესი ბურთების სხვაობა აქვს: 51-20. რა თქმა უნდა, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, „ბორდოს“ შემადგენლობა არ არის ისე ძლიერი, როგორც მეტოქისა, თუმცა აქაც ჰყავთ რამდენიმე ჩინებული ოსტატი, განსაკუთრებით თავდასხმაში.



პირესი

ხვალ „ბორდო“ სტუმრად ითამაშებს ერთ-ერთ აუტსაიდერ „ნანსისთან“, 20 მარტს მიიღებს „სტრასბურს“, რომელიც ასევე ახლოსაა სახიფათო ზონასთან, შემდეგ კი 3 აპრილს ასევე სტუმრად ითამაშებს „ტულუზასთან“, რომელსაც ძალიან არათანაბარი შედეგები აქვს.



დიუგარი

„უეფას ზონაში“ მოხვედრისათვის მძაფრი ბრძოლაა. 44 ქულა აქვს მესამე ადგილზე მყოფ „ლიონს“, 41 — „მონაკოს“, 40 — „რენს“ და 39 — „ნანტს“. უმაღლეს დივიზიონში დარჩენაზე კი ახლა, სულ მცირე, ექვსმა კლუბმა უნდა იზრუნოს. ესენია: „სოშო“ (18 ქულა), „ჰავრი“ (22), „ლორიანი“ (24) „ნანსი“ (24), „ტულუზა“ (25) და „სტრასბური“ (25). სხვა გუნდებს შორის უნდა აღინიშნოს მდიდარი და პოპულარული კლუბის „პარი სენ-ჟერმენის“ მეტად უფერული შედეგი: იგი 28 ქულით მხოლოდ მეთორმეტე ადგილზეა და მიმდინარე სეზონზე უკვე ჩაიქნია ხელი.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა სნაიპერების შესახებ. 17 ბურთით პირველ ადგილზეა ვილტორის („ბორდო“), რომელმაც ამ სეზონში პირველად მიიპყრო ყურადღება დიდი შედეგიანობით. 14 გოლი გაიტანა ამავე კლუბის კიდევ ერთმა თავდამსხმელმა ლალანდმა, რომელსაც ხანდახან საფრანგეთის ნაკრებშიც იწვევენ, 11 გოლის ავტორია მორისი („ოლიმპიკი“), 10-10 ბურთი გაიტანეს კაველიამ („ლიონი“), კასკარინომ („ნანსი“), ნონდამ („რენი“) და ტრეზეგამ („მონაკო“).

ერთი სიტყვით, საფრანგეთის ჩემპიონატში გადამწყვეტი დღეები დადგა.

**ბივი თორელი**

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## თასების თასი — 1/4 ფინალის პირველი მატჩები

ლოკომოტივი – მაკაბი 3-0
პანიონისი – ლაციო 0-4
ვარტექსი – მალიორკა 0-0
ჩელსი – ვალერენგა 3-0

## რობერტო კარლოსს „რეალიდან" წასვლა სურს

როგორც ბრაზილიელმა რობერტო კარლოსმა ჟურნალისტებს განუცხადა, მან შეიძლება კარიერა „მილანში" გააგრძელოს.

კარლოსის აზრით, „მილანი" დიდი კლუბია მდიდარი ტრადიციებით და შესანიშნავი მწვრთნელი ძაჯერონით. ახლა ყველა ამ მწვრთნელზე ლაპარაკობს, მას მეტად კომპეტენტური სპეციალისტის რეპუტაცია აქვს.

ამავე დროს, რობერტო კარლოსი აცხადებს, რომ „მილანში" მხოლოდ „რეალის" ხელმძღვანელების თანხმობით შეუძლია გადასვლა, რადგან ესპანურ კლუბთან 2002 წლამდე აქვს კონტრაქტი, და, ამასთან ერთად, მადრიდში თავს ძალზე კომფორტულად გრძნობს. მაგრამ ამავე დროს იგი ხომ პროფესიონალია და იტალიური ფეხბურთი ძალიან მოსწონს. თუ „მილანს" უნდა იგი თავის რიგებში იხილოს, თვით უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და დაიწყოს მოლაპარაკება „რეალთან".

## ჯუზეპე ბერგომი – 750!

ამასწინანდელი მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჯუზეპე ბერგომისათვის 750-ე ოფიციალური შეხვედრა იყო „ინტერის" შემადგენლობაში. საინტერესოა, რომ მთელი თავისი მეტად ხანგრძლივი კარიერა ბერგომიმ ამ ერთადერთ კლუბში გაატარა. მან შორს გაასწრო ყველა დანარჩენ იტალიელ ვეტერან რეკორდსმენს. ფრანკო ბარეზის „მილანის" შემადგენლობაში 716 მატჩი აქვს ჩატარებული, ჯანი რივერას იმავე გუნდში – 655, ჯიაცინტო ფაკეტის – „ინტერში" – 634.

აი, როგორ ნაწილდება ბერგომის ეს 750 მატჩი: 514 – იტალიის ჩემპიონატში, 119 – იტალიის თასზე, 1 იტალიის სუპერთასზე, 14 ჩემპიონთა თასზე, 96 – უეფას თასზე და 6 – თასების თასზე.

## ბრაზილიელები მოედნენ მთელ მსოფლიოს

როგორც ბრაზილიური გაზეთი „ფოლია" იუწყება, ამჟამად საზღვარგარეთ 783 ბრაზილიელი თამაშობს. ყველაზე მეტი – 101 პორტუგალიის კლუბებში გამოდის, შემდეგ შვეიცარიაში (42) და იაპონიაში (34). აშშ-ში ამჟამად 23 ბრაზილიელია, ესპანეთში – 22.

ამავე დროს სხვადასხვა ქვეყანაში ბევრი ბრაზილიელია, რომლებსაც გადასვლის ნებართვა ეროვნული ფეხბურთის კონფედერაციისაგან არ მიუღიათ. ასეთ არალეგალურ მდგომარეობაშია 182 კაცი ევროპაში, აშშ-ში კი 56, ოკეანიაში – 10, აზიაში – 4. საინტერესოა, რომ აფრიკაში მხოლოდ ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელია.

## ფიფას ახალი რეიტინგი

ფიფამ გამოაქვეყნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ნაკრებების რეიტინგი: 1. ბრაზილია – 827 ქულა. 2. საფრანგეთი – 786, 3-4. ხორვატია, იტალია – 742. 5. გერმანია – 738. 6. არგენტინა – 732. 7. ჩეხეთი – 727. 8. ჰოლანდია – 716. 9. ესპანეთი – 706. 10. რუმინეთი – 698. 11. ინგლისი – 695. 12. მექსიკა – 688, 13. ნორვეგია – 676. 14. შვეცია – 659. 15. დანია – 653. 16. იუგოსლავია – 649. 17. პორტუგალია – 641. 18. ავსტრია – 631. 19. მაროკო – 629. 20. ჩილე – 614.

## სიმეონეს სკანდალური აღიარება

ამ დღეებში იტალიურ პრესაში გამოჩნდა ინტერვიუ მილანის „ინტერში" მოთამაშე ცნობილ არგენტინელ ფეხბურთელ დიეგო სიმეონესთან. აქ მან აღიარა, რომ ინგლისის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალურ მატჩში ტრავმის სცენა გაითამაშა. მსაჯი მოტყუვდა დი ინგლისელი ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი მინდვრიდან გააძევა, ხოლო ინგლისის ნაკრები დამარცხდა და დატოვა შეჯიბრება.

„გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტთან საუბარში სიმეონემ თქვა, რომ „სინამდვილეში წესების უხეში დარღვევა არ ყოფილა". ბექჰემმა მეტოქეს ფეხი სუსტად მოარტყა, რის შემდეგ სიმეონემ იეშმაკა და მიწაზე გაგორდა. მსაჯი იოლად მოტყუვდა. ინგლისელების წაგების დამნაშავედ ბექჰემი გამოცხადდა, მას სამშობლოში ყველა თავს დაესხა და კრიტიკა დიდხანს არ შეწყვეტილა. სიმეონე კი ფიქრობს, რომ ბექჰემი სულაც არ იყო დამნაშავე იმაში, რომ ინგლისის ნაკრებმა შემდეგ პენალტების სერიით წააგო. „ჩვენ ინგლისელებზე უფრო ჭკვიანურად ვთამაშობდით და, ამასთან, ბედიც გვწყალობდა".

რაც შეეხება ბექჰემს, მან განაცხადა, რომ ყველაფერი დაივიწყა და სიმეონეზე გულმოსული არ არის, პირიქით, თანახმაა ხელიც კი ჩამოართვას მას. რაც შეეხება ინგლისელი ფეხბურთელის მამას, იგი ცოტა სხვანაირად ფიქრობს. მისმა შვილმა „არ დაივიწყა ეს ინციდენტი, მაგრამ უნდა ამაზე მაღლა დადგეს, ბოლომდე სპორტსმენი იყოს". ეს მატჩი, ბოლოს და ბოლოს, ისტორიას ჩაბარდა. რაც შეეხება სპორტულ რევანშს, ამის საშუალება ბექჰემს აქვს. ეს იქნება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ შეხვედრებში (პირველი მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედმა" უკვე მოიგო ანგარიშით 2-0) მილანის „ინტერის" დამარცხება და მისი, დიეგო სიმეონესთან ერთად, გზიდან ჩამოცილება.

## რაველი აღარ ითამაშებს

განთქმულმა მეკარემ თომას რაველიმ, რომელმაც 16 წელი ითამაშა შვეციის ნაკრების შემადგენლობაში, თავისი ბრწყინვალე კარიერის დამთავრება გადაწყვიტა.

39 წლის მეკარემ ეს გადაწყვეტილება მიიღო აშშ-დან სამშობლოში დაბრუნებისას. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იგი ამერიკულ კლუბ „ტამპა ბეი მიუტინიში" თამაშობდა. „აღარა მაქვს თამაშის გაგრძელების მოტივაცია. რაც სამშობლოში დავბრუნდი, სულ ჩემს მომავალ ცხოვრებაზე ვფიქრობ, რა უნდა გავაკეთო".

საინტერესოა, რომ 22 წლის მანძილზე მეკარე სულ სამ კლუბში თამაშობდა. მისი პირველი გუნდი „ესტერი" იყო, რომლის შემადგენლობაში რაველი 1980-81 წლების სეზონში შვეციის ჩემპიონი გახდა. შემდეგ „გეტებორგში" გადავიდა. აქაც ორჯერ გახდა შვეციის ჩემპიონი. ბოლოს, კარიერის მიწურულს რაველიმ ამჯობინა აშშ-ში გადასვლა. უნდა ითქვას, რომ ეს უიღბლო წლები იყო მის კარიერაში. თუ ევროპაში მეტად კორექტულ ფეხბურთელად ითვლებოდა, ამერიკაში ძალზე უსიამოვნო რამ შეემთხვა. ერთ მატჩში მსაჯს, რომელმაც, მისი აზრით, უსამართლო პენალტი დანიშნა, სახეში სთხლიშა. ასეთი საქციელისათვის 6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და 5000 დოლარის გადახდაც მოუხდა.

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც შვედებმა მესამე ადგილი დაიკავეს, რაველი „ვარსკვლავების ნაკრებში" მოხვდა. მან უკანასკნელად შვეციის ნაკრებში 1997 წელს ითამაშა ესტონელების წინააღმდეგ. ახლა ევროპაში დაბრუნების შემდეგ, რაველიმ უარით უპასუხა რამდენიმე შვედურ კლუბს, თქვა, რომ ამ ასაკში აღარ ღირს თამაშის გაგრძელება. ახლა იგი სპორტულ ტელეკომენტატორად აპირებს მუშაობას.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# „პარმა" და მისი სნაიპერი კიეზა



ენრიკო კიეზა

იტალიის „სერია A"-ს წამყვან კლუბებს მსოფლიოში ახლა უძლიერესი თავდამსხმელები ჰყავთ. აი ეს საუკეთესო დუეტებიც: რონალდო (სამორანო) – ბაჯო (ვენტოლა) – „ინტერში", კრესპო-კიეზა „პარმაში", ბატისტუტა – ედმუნდო „ფიორენტინაში", ვიერი-სალასი „ლაციოში", დელ პიერო – ფ. ინძაგი „იუვენტუსში" და ა.შ. ერთი სიტყვით, ეს ის ფეხბურთელებია, რომელთა გულისთვისაც ტიფოზი სტადიონზე მიდის. წავიდა ის დრო, როცა იტალიური კლუბების უმეტესობა ყბადაღებულ „კატენაჩიოს" თამაშობდა. ახლა პრიორიტეტი შემტევ ფეხბურთს ეძლევა.

ენრიკო კიეზა ერთი იმათგანია, ვინც გულშემატკივარს ესოდენ უყვარს. იგი, რა თქმა უნდა, საფეხბურთო საზომით თუ მივუდგებით, ახალგაზრდა არ არის (დაიბ. 1970 წ. 29 დეკემბერს), მაგრამ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, რამდენიმე წელს კიდევ აპირებს თამაშს. ყოველ შემთხვევაში, ახლანდელი სეზონი ერთ-ერთი საუკეთესოა მის კარიერაში.

კიეზამ პროფესიული ფეხბურთის



«იუვენტუსი» — «პერუჯა»

ყველა საფეხური გაიარა. გენუის „სამპდორიის" ჭაბუკთა გუნდიდან იგი „სერია „C"-ში მივიდა. თამაშობდა მესამე ლიგისათვის საკმაოდ ძლიერ კლუბებში. შემდეგ „სერია B"-ში გადაინაცვლა – აქ „მოდუნასა" და „კრემონეზეში" გამოდიოდა. სულ მალე კი ცხადი გახდა, რომ ასეთ ნიჭიერ, შედეგიან ფორვარდს უფრო უმაღლეს დონეზე თამაში შეეფერებოდა.

უკვე მომწიფებული ოსტატი ისევ გენუის „სამპდორიას" დაუბრუნდა, რომელიც ვერ უძლებდა რა სუპერკლუბების კონკურენციას, ყოველწლიურად ჰკარგავდა წამყვან მოთამაშეებს. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ აქ რჩებოდა მანჩინი, დიდებული ფეხბურთელი. ნამდვილი კაპიტანი, და, თუ გნებავთ, ნამდვილი მწვრთნელი მინდორზე. მანჩინი ერთდროულად საუცხოო გამთამაშებელი და ჩინებული სნაიპერი იყო. აი, შემდეგ კი, როცა იგი „სამპდორიიდან" წავიდა...

მანჩინის მხარდამხარ თამაში ახალგაზრდა კიეზასათვის ძალზე ბევრს ნიშნავდა. იგი შეეჩვია ვეტერანის მანერას, კარგად „კითხულობდა" მანჩინის „ქვეტექსტს". თუმცა „სამპდორიის" ფინანსური შესაძლებლობები მკვეთრად ჩამოუვარდებოდა, ვთქვათ, „იუვენტუსისას" ან „ინტერისას" და, ამდენად, გუნდი არ იყო მაინცდამაინც თანაბრად დაკომპლექტებული, 1995-96 წლების სეზონში იგი მერვე იყო, 1996-97 წლების ჩემპიონატში – მეექვსე. კიეზამ ამ წელს 22 გოლი გაიტანა და სნაიპერთა შორის მესამე ადგილზე გავიდა. მას გაუსწრეს პროტიმ „ბარიდან" და „ლაციოს" განთქმულმა თავდამსხმელმა სინიორიმ, რომლებმაც 24-24 ბურთი გაიტანეს.

როცა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა საკიმ ევროპის პირველობაზე, ინგლისში გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობა დაასახელა, აქ კიეზაც იყო, თუმცა 25 წლის თავდამსხმელს აქამდე „სკუადრა აძურაში" ერთი მატჩიც კი არა ჰქონდა ჩატარებული. მართლაც უიშვიათესი შემთხვევაა, როცა ფეხბურთელს ნაკრებში დებიუტი აქვს... ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩში, გასაგებია, რომ ეს მეტოქისათვის მეტად მოულოდნელია, აშკარა სიურპრიზია, მაგრამ როგორი ნერვები, საკუთარი ძალის რწმენა და ოსტატობა უნდა ჰქონდეს მოთამაშეს, რომელიც ასეთ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე. სწორედ ასეთი იყო ინგლისში ევროპის ჩემპიონატში კიეზა იტალიელი სპეციალისტების აზრით, განსაცვიფრებელი მოთამაშე სწრაფი და ენერგიულია, ორიგინალური დრიბლინგითა და კარგი დარტყმით.

პირველ მატჩში რუსებთან, რომელიც იტალიელების გამარჯვებით (2-1) დამთავრდა, კიეზა არ მონაწილეობდა, ეს იყო კაზირაგის ტრიუმფის დღე. სამაგიეროდ, მეორე შეხვედრაში ჩეხებთან, როცა თავიდან არც კაზირაგი გამოსულა მინდორზე და არც ძოლა, კიეზამ, შეიძლება ითქვას, დიდებულად ითამაშა. მე-18 წუთზე მან მინდვრის საკუთარ ნახევარზე მიიღო ბურთი და ფუზერთან ერთად პირდაპირ კლასიკური კონტრშეტევა წარმართა. მისი შეჩერება ჩეხების მცველებმა ვერ შეძლეს. კარის სიახლოვეს კიეზამ კიდევ ერთხელ მიიღო ფუზერის გადაცემა და გოლით დააგვირგვინა იგი. მართალია, იტალიელები საბოლოო ანგარიშით მაინც დამარცხდნენ (1-2), მაგრამ მეოთხედფინალში გასვლის შესაძლებლობები მაინც რჩებოდა. არა, იტალიელებს ამ ჩემპიონატში წარმატება არ ეწერათ...

თითქოს უცნაურია, იტალიელები ინგლისიდან დამარცხებულები დაბრუნდნენ, მათი თავდამსხმელების ფასმა კი საერთაშორისო ბაზარზე იმატა. რავანელი „მიდლსბროში" გადავიდა, ძოლა – „ჩელსიში" (სადაც ადრე ვიალიმ დაიწყო თამაში), კაზირაგიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ კიეზას პოპულარობამ მაინც ყველა იტალიელ თავდამსხმელს გადააჭარბა. ამის გამო იყო, რომ „პარმამ", რომელსაც ჩემპიონატში დაკავებული მეექვსე ადგილი აშკარად არ აკმაყოფილებდა, „სამპდორიასთან" მოლაპარაკება გამართა. თუკი კიეზა ამ კლუბში გადავიდოდა, მაშინ პარმელებს საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის კარგი შესაძლებლობა ექნებოდათ. „სამპდორიამ" და კიეზამ ერთხანს იუარეს, მაგრამ, როცა „პარმას" „არგუმენტმა" – სატრანსფერო თანხამ 26 მილიარდ ლირას მიაღწია, ამას უკვე ველარ გაუძლეს.

ახალ კლუბში კიეზა ახალი იმედებითა და ახალი ამბიციებით გაიმსჭვალა. რა შესანიშნავმა შემადგენლობამ მოიყარა თავი „პარმაში"! დაცვაში ბრაზილიელი ზე მარია, საფრანგეთის ნაკრების წევრი ტიურამი, გნებავთ აპოლონი, გნებავთ სენსინი. შუა ხაზზე დინო ბაჯოს მხარში ამოუდგა ფრანგი ბრავო. ახლა შეტევით ხაზს აღარ იტყვით: კრესპო, რომელიც მშვენივრად



«ლაციო» «კალიარი»

თამაშობდა ატლანტის ოლიმპიადაზე და არგენტინის ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი, მელი, რომელსაც იტალიაში დიდად აფასებდნენ, ძოლა და კიეზა. მართალია, შემოდგომაზე ძოლა „ჩელსიში" გადავიდა, ჯერ კიდევ მანამდე ნევიო სკალას კლუბის დირექტორატთან უსიამოვნება მოუვიდა და იგი კარლო ანჩელოტიმ შეცვალა. ერთხანს თითქოს გუნდში საქმეები აირია კიდეც, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მოგვარდა. „პარმამ" გააუმჯობესა თამაში და საბოლოო ანგარიშით კინაღამ ჩემპიონობასაც კი წაეპოტინა. იტალიის ახალმა ჩემპიონმა „იუვენტუსმა" (65 ქულა) მეორე ადგილზე გამოსულ „პარმას" სულ ორი ქულით გაუსწრო. კიეზა 14 გოლით „პარმას" თავდამსხმელებს შორის საუკეთესო იყო.

კიეზას ტრავმამ მას იტალიის 1997-98 წლების სეზონში თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა. კლუბმაც უკან დაიხია და მას ამჯერად მეექვსე ადგილი ერგო. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატმაც კიეზას გარეშე ჩაიარა. შეიცვალა მწვრთნელიც: თუ წინა სეზონში კარლო ანჩელოტი კარგი იყო, ახლა, გამოდის, არაფრად ვარგოდა. იგი იტალიაში არც ისე ცნობილმა, მაგრამ საკმაოდ ამბიციურმა ალბერტო მალეზანიმ შეცვალა.

ახალი ხელმძღვანელობა, როგორც წესი და რიგია, შემადგენლობის გაძლიერებას შეეცადა. მალაზანიმ მიიწვია მცველი სარტორი („ინტერიდან"), შუა ხაზის მოთამაშეები ფუზერი („ლაციოდან") ბოგოსიანი („სამპდორიიდან"), ვერონი („სამპდორიიდან"), თავდამსხმელი ბალბო („რომადან"). საერთოდ კი ახალი მოთამაშეების შესაძენად 35 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

შესანიშნავად ამოქმედდა თავდასხმა, განსაკუთრებით კი წყვილი: კრესპო-კიეზა. ხშირად თამაშობდა ბალბოც, რომელმაც „პიაჩენცასთან" იშვიათი შედეგით დასრულებულ გასვლით მატჩში (6-3 სტუმრების სასარგებლოდ) 3 გოლი გაიტანა. აი, რა თქვა არგენტინელმა ვეტერანმა: „ვფიქრობ, თუკი შემდეგშიც ასეთ დონეზე ვითამაშებთ, დანარჩენი მატჩების შედეგებიც ძალიან კარგი იქნება. ჩვენი გუნდი ახლა შესანიშნავად თამაშობს, ამიტომ „პარმას" შეჩერება ყველას გაუჭირდება". დაახლოებით იგივე განაცხადა მწვრთნელმა მალეზანიმ: „შესაძლებელია, დღეს ზოგი კვლავ ისე გვიყურებს, როგორც პროვინციელებს. სინამდვილეში კი გუნდში მსოფლიო კლასის საკმაო რაოდენობის მოთამაშეები გვყავს".

ერთი სიტყვით, ახლა, როცა იტალიის პირველობის დამთავრებამდე, არც ისე დიდი დრო რჩება, „პარმა" ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტია. კიეზა კვლავ დამაჯერებლად თამაშობს და თუ ნაკრების ადრინდელი მწვრთნელი მალდინი მაინცდამაინც არ სწყალობდა, ახლა ძოფს იგი ერთ-ერთ წამყვან ფორვარდად მიაჩნია, მართალია, „პარმამ" ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა პირველი წრის ერთპიროვნული გამარჯვებული ყოფილიყო („ლაციოსთან" საკუთარ მინდორზე 1-3 წაგების შემდეგ), მაგრამ გუნდს გული არ გაუტეხია და ახლა, როცა ჩემპიონატის დამთავრებამდე 10 ტური რჩება, ამ პატარა ქალაქის ფეხბურთელები და გულშემატკივრები კვლავ მეტად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

**გივი თორელი**



# რეიტინგი

## ნატო ნასარიძე მსოფლიოში მეორეა

იტალიურმა ჟურნალმა „არჩიერმა“ („მშვილდოსნობა“) გამოაქვეყნა მსოფლიოს მშვილდლოსანთა სტატისტიკური მონაცემები. ქალთა შორის რჩეულთა სიაში, ჩვენი თანამემამულე ნატო ნასარიძე (იგი 5 წელიწადია, თურქეთის სახელით ასპარეზობს) მეორე საფეხურზეა. ლიდერობს უკრაინელი ლინა პავჩუკი, რომელიც ნატოს მხოლოდ 7 ქულით უსწრებს. მესამეა — მოლდოველი ნატალია ვალეევა, რომელიც თავის მხრივ ნასარიძეს 10 ქულით ჩამორჩება.

წლევანდელი სპორტული სეზონი ძალზე საინტერესო უნდა იყოს. თვენახევრის შემდეგ კვიპროსის დედაქალაქ ნიქოზიაში მშვილდოსნები იბრძოლებენ სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად.

სულ ახლახან შევიტყვეთ, რომ წლევანდელი წლის სპორტულ კალენდარს კიდევ ერთი დიდი შეჯიბრება დაემატა. ესაა ევროპის XIII ჩემპიონატი, რომელიც 20-27 ივნისს სლოვენიაში გაიმართება.

სტარტებისათვის გაცხოველებით ემზადებიან აგრეთვე აჭარლები — ხათუნა ფუტკარაძე და სერგო ბერიძე.

**რუბენ კაცობაშვილი**

# „ტოტო-ლოტო“ — მილიონთა თამაში!

*7 მარტს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეცხრე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია: **6. 8. 19. 20. 28. 37.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 1072.90 ლარი.
4 ციფრი – 16.20 ლარი.
3 ციფრი – 1.60 ლარი.

**„ჯეკ-პოტი“ 42 897 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: **7. 2. 8. 0. 6. 4. 1.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 14 მარტს, ჯეკ-პოტი **42 897** ლარი.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო. გისურვებთ წარმატებას!***

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი 98“-ის და „ოლიმპი“-ს მოუგებელ ბილეთებზე ფულადი და ნივთობრივი მოგებები, რომლებიც წილად ხვდა: ლატარია „ოლიმპ“-ში — გიორგი აფხაიძეს (ქუთაისი) — 50 ლარი. ბილეთის № 045274. გივი გვახარიას (თბილისი) — ფეხბურთის აბონემენტი, ბილეთის №164109. ლატარია „გოლი 98“-ში — ირაკლი ბობოხიძეს (ქუთაისი) — 100 ლარი. ბილეთის №03465-162.. ანზორ ნიპარიშვილს (კასპი) — მტვერსასრუტი. ბილეთის №03888-057.

ამასთან, გამარჯვებულებს გადაეცემათ აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები. პრიზები გაიცემა 10 მარტიდან ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ოფისში. მის: ქ. შარტავას ქ. 40

**საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი**

# თამაზ ნიკოლეიშვილი



კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მუშაკი გამოაკლდა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ამაგდარ ადამიანთა რიგებს. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძალოსნობაში თამაზ ამბროსის ძე ნიკოლეიშვილი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან ქართული სპორტის სამსახურს მიუძღვნა.

დაიბადა 1938 წელს ქ. სამტრედიაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში. სწავლის დამთავრების შემდეგ საქმიანობა დაიწყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეში“, სადაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა ჯერ ინსტრუქტორად, მწვრთნელად, შემდეგ სასწავლო განყოფილების გამგედ. სწორედ აქ გამოავლინა ორგანიზატორული და პედაგოგიური ნიჭი. დიდი ამაგი მიუძღვის „კოლმეურნეს“ ნაკრები გუნდის მომზადებაში, რომელიც წარმატებით გამოდიოდა როგორც საკავშირო, ისე სხვა მასშტაბის შეჯიბრებებში.

თ. ნიკოლეიშილი გამოირჩეოდა კეთილშობილური პიროვნული თვისებებით, ყურადღებით და ჯანსაღი იუმორით. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა სპორტულ სამყაროში. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია მეგობრებთან და თანამოსაქმეებთან კავშირი. შექმნა საუკეთესო ოჯახი. იყო მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა.

ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წავიდა ულალატო მეგობარი, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულებში.

**საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია**

პანაშვიდი: 9 და 10.03; დაკრძალვა 11.03, 15 საათზე. მისამართი რ. ერისთავის, 3.

# ასეთია ჩოგბურთელების რეიტინგი და... შემოსავალი



მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ვაჟების რეიტინგი დღეისათვის ასეთია: 1. პიტ სამპრასი (აშშ) – 3449. 2. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) – 3382. 3. ალექს კორეტჰა (ესპანეთი) – 3250. 4. კარლოს მოია (ესპანეთი) – 3234. 5. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) – 3138. 6. მარჩელო რიოსი (ჩილე) – 2880. 7 ტიმ ჰენმანი (ინგლისი) – 2764. 8. რიჰარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) – 2702. 9. ანდრე აგასი (აშშ) – 2583. 10 გრეგ რუსედსკი (ინგლისი) – 2439. 11. ტოდ მარტინი (აშშ) – 2201. 12 კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) – 2160. 13. თომას ენკვისტი (შვეცია) – 1930. 14. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) – 1916. 15. ალბერტო კოსტა (ესპანეთი) – 1817. 16. თომას იუჰანსონი (შვეცია) – 1817. 17. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) – 1719. 18. ტომი ჰაასი (გერმანია) – 1696. 19. ფეილიქს მანტილა (ესპანეთი) – 1522. 20. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) – 1501.

*ქალები:* 1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) – 5774. 2. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) – 5547. 3. მონიკა სელეში (აშშ) – 3823. 4. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) – 3677. 5. ვენუს უილიამსი (აშშ) – 3177. 6. არანტა სანჩეს – ვიკარიო (ესპანეთი) – 3067. 7. შტეფი გრაფი (გერმანია) – 2810. 8. მერი პირსი (საფრანგეთი) – 2248. 9. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) – 2105. 10. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) – 2070. 11. ანა კურნიკოვა (რუსეთი) – 1941. 12. პატი შნაიდერი (შვეიცარია) – 192.2. 13. დომენიკ ვან რუსტი (ბელგია) – 1874. 14. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) – 1865. 15. ამალია მორესმო (საფრანგეთი) – 1861. 16. ირინა სპირლია (რუმინეთი) – 1844. 17. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) – 1749. 18. ნატალია ზვერევა (ბელორუსია) – 1693. 19. ბარბარა შეტი (ავსტრია) – 1487. 20. ჟიული ჰალარდ – კეკუკისი (საფრანგეთი) – 1437.

რაც შეეხება ჩოგბურთელების მიერ ამ სეზონში მიღებულ ჰონორარს, აქ ვაჟებს შორის ყველას უსწრებს ევგენი კაფელნიკოვი – 669 025 დოლარი. 2. თომას ენკვისტი – 299 488. 3. თომას ჰაასი – 262 176. 4. ტიმ ჰენმანი – 233 409. 5. ჟერომ გოლმარი 184 906. 6. გრეგორ რუსედსკი – 174816 78 რიჰარდ კრაიჩეკი – 161809. 8. ფაბრის სანტორო – 158 222; 9. რაინერ შუტლერი – 157 967 დოლარი და ა.შ.

# ლინარესის სუპერტურნირი



ლინარესის სუპერტურნირის დამთავრებამდე ბევრი აღარაფერი რჩება.

მეათე ტურში ლიდერი კასპაროვი შავებით ეთამაშებოდა ანანდს. ინდოელი დიდოსტატი მსოფლიოს №2 მოჭადრაკედ კი ითვლება, მაგრამ კასპაროვთან ცუდი ანგარიში აქვს. გარდა იმისა, რომ მასთან მატჩი წააგო მსოფლიო პირველობაზე, საერთაშორისო ტურნირებშიც ხშირად აგებს. არც ეს შეხვედრა ყოფილა გამონაკლისი. კასპაროვმა კვლავ გაიმარჯვა და უკვე ორი ქულით გაასწრო უახლოეს მდევარს. სვიდლერმა, რომელიც ბოლო შეხვედრებს სუსტად ატარებდა ამჯერად შეძლო ადამსის დამარცხება და თავი დააღწია ბოლო ადგილს. ამავე ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ ტოპალოვი – ლეკო და ივანჩუკი – კრამნიკი.

მეთერთმეტე ტურში გამარჯვება მხოლოდ ანანდმა შეძლო. იგი შავებით ეთამაშებოდა ტოპალოვს. კასპაროვმა ასევე შავებით ყაიმით დაასრულა შეხვედრა კრამნიკთან. ასეთივე შედეგით დამთავრდა სვიდლერ-ლეკოსა და ადამს-ივანჩუკის შეხვედრები.

მეთორმეტე ტურში კასპაროვმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად ადამსთან და უკვე გაინაღდა პირველი ადგილი. ტოპალოვმა პირველი გამარჯვება მოიპოვა სვიდლერთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ივანჩუკი – ლეკო და ანანდი – კრამნიკი.

ახლა მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: კასპაროვს 9,5 ქულა აქვს, კრამნიკს – 7, ანანდს – 6,5. 5,5 ქულა მოაგროვეს ლეკომ და ტოპალოვმა, 5 – ადამსმა, 4,5 – ივანჩუკმა და სვიდლერმა. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური რჩება.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




### 9 მარტი, სამშაბათი

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ასპარეზი (22.20), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***НТВ плюс футбол.*** ფეხბურთი. ბრაზილია – საფრანგეთი. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (13.45), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.45), ესპანეთის ჩემპიონატი (17.45), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“. ფრანც ბეკენბაუერი (22.40), ჰოლანდიის ჩემპიონატი (23.10). ***ESPN.*** ფეხბურთი. უეფა. „მაკაბი“ – „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) – 1.00, ჩემპიონთა ლიგა (მიმოხილვა – 13.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (19.30).

### 10 მარტი, ოთხშაბათი

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (21.00). ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (13.15), შოტლანდიის ჩემპიონატი (14.45, 19,15), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“. ფრანც ბეკენბაუერი (16.40), ჰოლანდიის ჩემპიონატი (17.10, 21.20), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (20.50). „ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები“ (23.15). ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა. „გრან-პრი“, ფინალი (22.25). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (5.00, 18.30), ფეხბურთი, უეფა. ჩემპიონთა ლიგა. (9.30), ინგლისის პრემიერ ლიგა (14.30), მსოფლიო ფეხბურთი (21.00). ***EUROSPORT.*** სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი. (20.15), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.30).

### 11 მარტი, ხუთშაბათი

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***ევრიკა.*** „ფეხბურთის ლეგენდები“ (21.30). ***OPT.*** მსოფლიო ჩემპიონატი ბიატლონში (0.30), ***ТВ центр.*** ფეხბურთი დიალოგში (13.30); ***НТВ плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (13.15), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (14.50), ჰოლანდიის ჩემპიონატი (15.20), ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (17.15), უკრაინის ჩემპიონატი. დინამო (კიევი) – „მეტალურგი“. პირდაპირი რეპორტაჟი (20.55), ევროპის საფეხბურთო კვირეული (0.30). ***НТВ плюс спорт.*** ბილიარდის მეფეები (14.35), პროფესიული კრივი (22.45), სათხილამურო ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.55). ***ESPN.*** უეფა. ჩემპიონთა ლიგა მიმოხილვა (8.30), მარათონი. (12.00), ფეხბურთი. ჰოლანდიიდან. „ფ.ს. „უტრეხტი“ – „აიაქსი“ (15.30) ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (18.00), ინგლისის პრემიერ ლიგა (21.00), ***EUROSPORT.*** სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი (15.20, 20.30, 3.30). მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (2.00).

### 12 მარტი, პარასკევი

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „არსენალი“ – „მერანი“ (23.55), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.55). ***კავკასია.*** „ვარსკვლევები“ (17.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***НТВ плюс футбол.*** უკრაინის ჩემპიონატი (13.15), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.45), ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (20.50), გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი (22.55). ***НТВ плюс спорт.*** სათხილამურო ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. (16.25), პროფესიული კრივი (23.15), ჰოკეი НХЛ (23.25). ***ESPN.*** ფეხბურთი ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (2.00), „უტრეხტი“ – „აიაქსი“. ჰოლანდიიდან (4.30), კალათბურთი. ნბა (12.30), ფეხბურთი. ესპანეთის ლიგის მიმოხილვა (17.30), ***EUROSPORT.*** თხილამურები. მსოფლიოს თასი (20.00, 16.30, 0.00), ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. საფრანგეთიდან (3.30).

### 13 მარტი, შაბათი

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპინატი (18.45). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00), ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (19.45). ***ТВ центр.*** ფეხბურთი დიალოგში (15.15), ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (13.15), მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები. იოჰან კრუიფი (15.20), გერმანიის ჩემპიონატი (16.10, 18.25), სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (21.30), ინგლისის ჩემპიონატი (21.55), ესპანეთის ჩემპიონატი (23.55). ***НТВ плюс спорт.*** დიდი რინგი (22.00). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (4.30, 10.30). ფეხბურთი. ესპანეთის ლიგის მიმოხილვა (8.00), ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (15.30). ***EUROSPORT.*** სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი (12,00, 12.30, 15.15, 19.00, 21.00).

### 14 მარტი, კვირა

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** სუპერმატჩი (20.35), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (18.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***REN TB.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ ლიგა (16.30). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15), ესპანეთის ჩემპიონატი (15.45), იტალიის ჩემპიონატი (17.55), ინგლისის ჩემპიონატი (19.55), იტალიის ჩემპიონატი (23.25). ***НТВ плюс спорт.*** პროფესიული კრივი (6.00, 20.00), სათხილამურო ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.55), ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ ლიგა (5.00, 7.00, 11.30), კალათბურთი. ნბა (18.00). ***EUPOSPORT.*** თხილამურები. მსოფლიოს თასი (11.30, 12.30, 15.15, 19.30, 21.00, 2.45).

---

საქართველოს პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფკავშირული სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძალოსნობაში

**თამაზ ნიკოლეიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტის 1962 წლის კურსდამთავრებულნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი

**თამაზ ნიკოლეიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## FRANCE-98



**თარაზულად:** 1. ირანელი ფეხბურთელი, 4. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი *(ფოტო)*, 6. კორეელი ფეხბურთელი, 7. ბელგიელი ფეხბურთელი, 8. კორეელი ფეხბურთელი, 10. ინგლისელი ფეხბურთელი, 11. არგენტინელთა მწვრთნელი, 13. იაპონელი ფეხბურთელი, 14. იტალიელი ფეხბურთელი, 15. კორეელი ფეხბურთელი, 16. შოტლანდიელთა მწვრთნელი, 17. ჩილელი ფეხბურთელი, 19. ბელგიელი ფეხბურთელი, 20. გერმანელი ფეხბურთელი *(ფოტო)*.







**შვეულად:** 2. ხორვატიელი ფეხბურთელი, 3. იამაიკელი ფეხბურთელი, 4. კამერუნელი ფეხბურთელი, 5. პარაგვაელთა მწვრთნელი, 9. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 12. იუგოსლავიელი ფეხბურთელი, 18. კამერუნელი ფეხბურთელი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. კe1!
1. ...მფe3 2. ეb3+მფ:f4 3. კg3X.
1. ...მფc2 2. კe4+მფ – 3. ეb1X.
1. ...gf 2. ეb2 მფe3 3. ეb3X.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული საფეხბურთო კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. გრეტცკი, 3. ტალი, 4. ანრი, 7. პავლოვსკი, 8. გეიმი, 12. ლეიბი, 15. გუდაური, 16. ქორქია, 17. ლავალი, 19. „ოლიმპია“, 20. ალტაი, 22. კაერი, 26. ფორსირება, 27. ილიე, 28. მერი, 29. აგილერა. **შვეულად:** 1. გირაო, 2. იანკი, 5. იანგი, 6. ტოსტაო, 8. გაბელია, 9. მოკოენა, 10. გურიელი, 11. „კროაცია“, 14. ივანოვი, 18. „ომონია“, 21. ტაიმი, 23. ესტეი, 24. კორეა, 25. მბომა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშიბიძე